პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ბადრი კვაჭაძე ნინო მაისურაძე
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	bkvachadze@geostat.ge nmaisuradze@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (300) +995 32 236 72 10 (303)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2024 წ. 03 ივლისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2024 წ. 03 ივლისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2024 წ. 03 ივლისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა
3.1. მონაცემების აღწერა
ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ქვეყნების, ეკონომიკის სფეროების, ინფორმაციის წყაროების, რეგიონების, საწარმოთა ზომისა და ასაკის, კომპონენტების მიხედვით მიიღება ძირითადად ორი წყაროდან: კერძო არასაფინანსო სექტორი – საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა, კერძო საფინანსო სექტორი – საქართველოს ეროვნული ბანკი.
3.2. კლასიფიკაციის სისტემა
• ეკონომიკური საქმიანობის სახეები – სეკ (NACE Rev. 2) 006-2016 (2016 წ.); • ეკონომიკური საქმიანობის სახეები – სეკ (NACE Rev. 1.1) 001-2004 (2004 წ.); • მსოფლიოს ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი – სკ 007-2016 (ISO 3166); • ვალუტების კლასიფიკატორი – სკ 008-2023 (ISO 4217); • ცნობარი „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ (2012 წ.).
3.3. სექტორის მოცვა
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური მონაცემები მოიცავს საქართველოს ეკონომიკის ყველა სფეროს – როგორც კერძო არასაფინანსო, ისე საფინანსო სფეროებს.
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ ეკონომიკურ სუბიექტში წილის, აქციების ან ხმის უფლების 10%-ის ან მეტის ფლობას (ან ეკვივალენტურ ძალაუფლებას) და ამ კომპანიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის. აღნიშნული განსაზღვრება ასევე ვრცელდება ფულად ან/და ნატურალურ ინვესტიციებზე ურთიერთდაკავშირებულ საწარმოებს შორის, ანუ კაპიტალურ ინვესტიციებზე ფილიალებსა და მათ სათავო ოფისებს შორის. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

3.5. სტატისტიკური ერთეული

სტატისტიკური დაკვირვების ძირითადი ერთეულებია არარეზიდენტი სუბიექტების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი რეზიდენტი საწარმოები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა არარეზიდენტი სუბიექტები.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

გენერალური ერთობლიობა მოიცავს ყველა იმ ეკონომიკურ სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- საწარმოს ჰყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი;
- ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისგან აქვს აღებული სესხი ან გაცემული მათზე;
- დეპოზიტები აქვს განთავსებული არარეზიდენტ ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის 10% და მეტს;
- არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას.

გამოკვლევა ტარდება შერჩეული საწარმოების სრული მოცვით.

3.7. საანგარიშო არეალი

გეოგრაფიული დაფარვა ეროვნულ დონეზე: საქართველოს მთელი ტერიტორია ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.
საერთაშორისო დონე: მსოფლიოს ყველა ქვეყანა.

3.8. დროის მოცვა

1996 წლიდან.

3.9. საბაზო პერიოდი

-

4. ზომის ერთეული

აშშ დოლარი.

5. საანგარიშო პერიოდი

კვარტალი, წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი

6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.
https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf

6.2. მონაცემთა გაზიარება

სტატისტიკის მწარმოებელ უწყებას, კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკს, შეთანხმებულ ვადებსა და ფორმატში რეგულარულად ეგზავნება სტატისტიკური მონაცემები არასაფინანსო კერძო სექტორში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების, სავაჭრო კრედიტების, საგარეო ვალის, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვა სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და საგარეო ვალის სტატისტიკის კომპილაციის მიზნით.

7. კონფიდენციალურობა

7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
   - კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.
   - კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები

კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“ https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“ https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

კვარტალური, წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს–რელიზები

პრეს რელიზი საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციების შესახებ:

https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=1

10.2. პუბლიკაციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემები ქვეყნდება კრებულებში:
„პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“:
https://www.geostat.ge/ka/single-archive/3397
„სტატისტიკური წელიწდეული“:
https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ვრცელდება:
პორტალზე:
http://fdi.geostat.ge
მონაცემთა გავრცელების პროგრამა PC-Axis-ის ფორმატში:
https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ მიკრომონაცემები გავრცელებას არ ექვემდებარება.

10.5. სხვა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება სოციალურ ქსელში (Facebook) და სპეციალური აპლიკაციის საშუალებით Android-ის და iOS სისტემების მობილური ტელეფონებისთვის.

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

მოკლე მეთოდოლოგია „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გაანგარიშების მოკლე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში“ ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე:
https://www.geostat.ge/media/43171/FDI_Brief-Methodology_GEO.pdf
დეტალური მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე:
https://www.geostat.ge/media/13372/OECD%20benchmark%20definition%20of%20FDI.pdf

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ

-

11. ხარისხის მართვა

11.1. ხარისხის უზრუნველყოფა

სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).

11.2. ხარისხის შეფასება

საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა

12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური მონაცემების ძირთადი მომხმარებელია საქართველოს ეროვნული ბანკი. გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს 70 დღისა, მას მიეწოდება მონაცემები კომპონენტებად – საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის და საგარეო ვალის სტატისტიკის წარმოების მოთხოვნების შესაბამისად. მონაცემების მომხმარებლები ასევე არიან: მთავრობა, სახელმწიფო უწყებები, მუნიციპალური ორგანოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, მასმედია.

12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემების გაანგარიშება ხორციელდება შესაბამისი წყაროებიდან მიღებული ყოველთვიური საფინანსო ანგარიშგების (კომერციული ბანკების შემთხვევაში), ასევე, კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე.
13.2. შერჩევითი ცდომილება
საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა სრული მოცვით ტარდება და არ არსებობს შერჩევითი შეცდომები.
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
არაშერჩევით ცდომილებებთან დაკავშირებით ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კვლევის კითხვარის სწორად და სრულყოფილად შევსება რესპონდენტების მიერ, ინტერვიუერები ახდენენ კითხვარის რედაქტირებას. დამუშავებას და ცალკეულ შემთხვევებში კომპიუტერში ჩაწერას.

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
წინასწარი მონაცემები ქვეყნდება ყოველკვარტალურად, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღეს. ოთხი კვარტალის შეჯამებით მიიღება წინასწარი წლიური მონაცემები, რომელთა დაზუსტება ხდება წლიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე მომდევნო წლის 15 აგვისტოს. თუ ინფორმაციის გავრცელების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ინფორმაცია ვრცელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
გეოგრაფიულ ჭრილში მონაცემები შესადარისია.
15.2. შესადარისობა – დროში
შესადარისია – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული დინამიკური მწკრივები გაანგარიშებულია ერთი და იმავე მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს დროში მათ შესადარისობას.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანმიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
მონაცემები თანმიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა
2023 წლის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევის ბიუჯეტი შეადგენს 296.1 ათას ლარს. რესპონდენტების დატვირთვის შემცირების მიზნით შემუშავებულია ონლაინ კითხვარები მაქსიმალურად შესაძლებელი ავტომატური გათვლებითა და კონტროლების სისტემით. აქვე მოცემულია შეკითხვა კითხვარის შევსებაზე დახარჯული დროის შესახებ.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე:

https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა

კვარტალური მონაცემების გამოქვეყნებისას შესაძლებელია მიმდინარე წლის წინა კვარტალების მონაცემების კორექტირება, ხოლო წლიური მონაცემებისა გამოქვეყნებისას – წინა 5 წლის დინამიკური მწკრივების კორექტირება (სსფ-ის რეკომენდაციების საფუძველზე).

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემების ძირითად წყაროს წარმოადგენს საქსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკური გამოკვლევა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია მიიღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოს საფინანსო სფეროში, კერძოდ, კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და საქსტატისათვის მიწოდებას.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

ყოველთვიური (კომერციული ბანკების შემთხვევაში), კვარტალური და წლიური.

18.3. მონაცემთა შეგროვება

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევისათვის გამოკითხვა ტარდება ონლაინ კითხვარების მეშვეობით. კომერციული ბანკებიდან მონაცემთა შეგროვება ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

18.4. მონაცემთა კონტროლი

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევის წარმოებისას ინტერვიუერი ვალდებულია გადაამოწმოს საწარმოს მიერ ელექტრონულად შევსებული ონლაინ კითხვარი, ხოლო რესპონდენტის მიერ მონაცემების სხვა ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში – უზრუნველყოს შესაბამისი ელექტრონული კითხვარების სწორად და სრულყოფილად შევსება (რედაქტირება და კომპიუტერში ჩაწერა). საველე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგიონული ბიუროების უფროსები ვალდებული არიან გააკონტროლონ შევსებული კითხვარების ხარისხი. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლები ახდენენ საწარმოთა მონაცემთა ბაზის კონტროლს. პროცესი მოიცავს როგორც არითმეტიკულ, ისე ლოგიკურ კონტროლს. ბაზის კონტროლის და გაწმენდის სამუშაოების ჩასატარებლად შექმნილია ვებ აპლიკაცია (ე.წ. შიდა კითხვარი). პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებული კონტროლების დახმარებით ხდება კითხვარების შევსების დროს დაშვებული უზუსტობების აღმოჩენა და შესწორება.

ასევე მოწმდება საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული მსხვილი ოპერაციების ვალიდურობა უშუალოდ ანგარიშვალდებულ პირებთან დაკავშირების გზით.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშება წარმოებს საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად. საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 3 ძირითადი შემადგენელი კომპონენტის მიხედვით (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია, სავალო ვალდებულებები), არარეზიდენტის წილის და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისად ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება. აღნიშნულ მონაცემებს ემატება საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული მონაცემები საფინანსო სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ. აგრეთვე, გაითვალისწინება ინფორმაცია არარეზიდენტების მიერ პრივატიზაციის პროცესის შედეგად შეძენილი ქონების შესახებ.

2018 წლის მარტიდან საქსტატმა აგრეთვე დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი მონაცემების გაანგარიშება ინტეგრირებული ფორმატით, რაც ოპერაციებთან ერთად ითვალისწინებს ნაშთების ასახვას.

https://www.geostat.ge/media/43171/FDI_Brief-Methodology_GEO.pdf

18.6. მოსწორება

-

19. კომენტარი

-